# "ეს აშკარა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას წარმოადგენს“ – საპატრიარქო სამხედრო სამსახურის საკითხზე



**სამხედრო სავალდებულო სამსახურის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ მისგან გათავისუფლება არ უნდა იყოს გამოყენებული ფსევდორელიგიური იურიდიული პირების მიერ.**

*„სასულიერო პირების სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა და ჩვენ მას მხარს ვუჭერთ. სახელმწიფოში ასევე გარანტირებული უნდა იყოს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური.*

*ამასთან, უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა ეს პრაქტიკა არ იქნას გამოყენებული ფსევდორელიგიური იურიდიული პირების მიერ თავიანთი ვიწრო მერკანტილური ინტერესებისათვის, რაც რელიგიურობით მანიპულაციას და აშკარა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას წარმოადგენს“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.*